საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალბანური ენა

ალბანური ენა კ ა ვ კ ა ს ი ი ს ა, კავკასიის ალბანელთა (იხ. ალბანელები კავკასიისა) სალიტერატურო ენა.

დამოწმებულია აზერბ. რესპ. დას. რ-ნებში ნაპოვნ მცირერიცხოვან ფრაგმენტულ წარწერებში. ზოგი მეცნიერის აზრით, ა. ე. უნდა იყოს თანამედროვე უდიური ენის (ა. შანიძე) ან მისი ახლომონათესავე მთის კავკ. ენების (წახური, მუხადური ანუ რუთულური, აღულური, ლეზგიური, ბუდუხური, ჯეკურ-კრიწული...) წინაპარი ენა. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ალბ. ანბანის ასოთა (იხ. ალბანური დამწერლობა) და უდიური ენის ბგერათა თანაფარდობა, მორფოლ. და ლექსიკური, აგრეთვე ისტ.-ეთნოგრ. მონაცემები და უძველესი წერილობითი წყაროები.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. 2-ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; А б у л а д з е И. В., Новое Сведение о сушествовании письменности у кавказских албанцев, «Сообшения Груз. Филиала АН СССР», 1940, т. 1, № 4; Т р е в е р К. В., Очерки по истории и культуре Кавказской Албании (IV в. До н. э. – VII в. н. э.), М. –Л., 1959; Ш а н и д з е А. Г., Язык в письмо кавказских албанцев, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე», 1960, № 1.

ე. ჯეირანიშვილი